საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 4166-03
26/11/2020

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე, აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბრის №14 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების", მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 25 ნოემბრის N11560-35 და N11599-03 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინურ სადოქტორო პროგრამის, ციფრული ჰუმანიტარიის სტურუქტურირებული სადოქტორო პროგრამის, ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის, სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამისა და სამუსიკო ხელვნების სადოქტორო პროგრამის ქვემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებსა და ვაკანტურ ადგილებზე:

ა) სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა:

ისტორია- 1 ვაკანტური ადგილი;

ბ) ციფრული ჰუმანიტარიის სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა:

კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერება-1 ვაკანტური ადგილი;

გ) ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა- 2 ვაკანტური ადგილი;

დ) სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა- 2 ვაკანტური ადგილი;

ე) სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო პროგრამა-2 ვაკანტური ადგილი.

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულ სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა 2020 წლის 30 ნოემბრიდან 21 დეკემბრის 18:00 საათამდე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ელ.

მისამართზე phd@iliauni.edu.ge უნდა გააგზავნონ ქვემოთ მითითებული დოკუმენტები (დოკუმენტები უნდა გადმოიგზავნოს ერთხელ, ერთ საქაღალდედ აკინძული PDF - ფორმატში, წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის საბუთები არ განიხილება), მიღების დადასტურება მოხდება ფაკულტეტის წარმომადგენლის მიერ:

ა) თითოეული სადოქტორო პროგრამისათვის განკუთვნილი სარეგისტრაციო ფორმა (დანართი 1);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი (რომელიც გათანაბრებული უნდა იყოს მაგისტრის ხარისხთან) ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის. (უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება/მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) 3X4–ზე ფოტოსურათის ელ.ვერსია;

ვ) სადოქტორო კვლევითი განაცხადი სასურველი სადოქტორო პროგრამის მიხედვით (დანართი 2) ხელმოწერილი პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ;

ზ)სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის ასევე, საჭიროა საკუთარი კომპოზიციების ან საშემსრულებლო ინტერპრეტაციების პორტფოლიო (კრებული):

საკომპოზიტორო მიმართულებაზე:

თანამედროვე კომპოზიციაში - მინიმუმ სამი, მაქსიმუმ ათი საკუთარი კომპოზიციის სანოტო პარტიტურა და/ან აუდიო/ვიდეო ჩანაწერი. კომპოზიციები უნდა იყოს სხვადასხვა საკრავიერი შემადგენლობისთვის (მათ შორის შესაძლოა ხმისთვის), აქედან მინიმუმ ერთი სასურველია იყოს დიდი/შედარებით დიდი მასშტაბის;

ჯაზის კომპოზიციაში - მინიმუმ ხუთი, მაქსიმუმ ათი სხვადასხვა სტილის კომპოზიციის სანოტო და/ან აუდიო/ვიდეო-ჩანაწერები. კომპოზიციები შესაძლოა იყოს სხვადასხვა სტილის თემის/თემის ქორუსის სახით (საშუალო და სწრაფი სვინგი, ჯაზ-ბალადა, ბოსა-ნოვა/სამბა, თანამედროვე მიმართულებები და სხვ.). სანოტო ჩანაწერი შესაძლოა იყოს canto + აკორდული სიმბოლოები;

საშემსრულებლო მიმართულებაზე:

საფორტეპიანო ხელოვნებაში - მინიმუმ სამი განსხვავებული ეპოქის მუსიკის საკუთარი საშემსრულებლო ინტერპრეტაციების 40-60 წუთიანი აუდიო ან/და ვიდეო-ჩანაწერი (მაგ., ბაროკოს, კლასიკური, რეომანტიკული, იმპრესიონისტული, თანამედროვე და სხვ.), აქედან მინიმუმ ერთი უნდა იყოს მსხვილი ფორმის (სუიტა, სონატა, კონცერტი, პიესების ციკლი და მსგავსი);

ჯაზის შემსრულებლობაში - სხვადასხვა სტილის ჯაზური მუსიკის ნიმუშების (საშუალო და სწრაფი სვინგი, ჯაზ-ბალადა, ბოსა-ნოვა/სამბა, თანამედროვე მიმართულებები და სხვ.) 30-40 წუთიანი ვიდეო-ჩანაწერი.

თ) იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ძირითად ენად ირჩევს ინგლისურ ენას და არ გადის ინგლისური ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი (TOEFL(P/B მინიმუმ 513 points; I/BT მინიმუმ 65 points); IELTS (მინიმუმ 5.5 points); FCE) **ან** შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი- Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე **ან** ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ი) იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ძირითად ენად ირჩევს გერმანულ ენას(გერმანული ენის ძირითად ენად არჩევა შესაძლებელია ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის, აპლიკანტმა უნდა მიუთითოს აპლიკაციის გაგზავნის დროს მისთვის სასურველი მთავარი საგამოცდო ენა) და არ გადის გერმანული ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს გერმანული ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი Test Deutsch als Fremdsprache; DSH(Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang); ZOP (Zentrale Oberstufenprüfung); KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom); GDS (Grosses Deutsches Sprachdiplom) **ან** გერმანულენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი- ასეთის არსებობის შემთხვევაში და ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი (TOEFL(P/B მინიმუმ 437points; I/BT მინიმუმ 41 points); IELTS (მინიმუმ 4 points); FCE) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი -Certus **ან** ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში.
კ) აპლიკანტმა, რომელსაც ინგლისურ ან გერმანულ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული პროგრამა, უნდა წარმოადგინოს ინგლისურენოვანი ან გერმანულენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი ან გერმანულენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გაცემული დიპლომით არ დასტურდება, რომ აპლიკანტის მიერ გავლილი პროგრამა იყო ინგლისურენოვანი ან გერმანულენოვანი აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის დანართი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ინგლისურენოვანი პროგრამის ან გერმანულენოვანი პროგრამის გავლის თაობაზე.
ლ) ინგლისური ენისა და გერმანული ენის გამოცდისგან თავისუფლდნენ ის პირები, რომლებიც რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,თ“ და ,,ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს.

3. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, გარდა იმ პირებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ და წარმოადგინეს ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტი და წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, ინგლისური ენის B2 და B1(გერმანული ენის ძირითად ენად არჩევის შემთხვევაში) დონეზე ცოდნის დასადასტურებლად გამოცდა ინგლისურ ენაში ჩაუტარდეთ დისტანციურად, პროგრამა ზუმის გამოყენებით 2020 წლის 23 დეკემბერს, ინფორმაცია საგამოცდო დროის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“ 2020 წლის 22 დეკემბერს.

4. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, გარდა იმ პირებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ და წარმოადგინეს ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტი და წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნის დასადასტურებლად გამოცდა გერმანულ ენაში ჩაუტარდეთ დისტანციურად, პროგრამა ზუმის გამოყენებით 2020 წლის 24 დეკემბერს, ინფორმაცია საგამოცდო დროის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“ 2020 წლის 22 დეკემბერს.

5. ინგლისური ენის B2 დონის გამოცდის მინიმალური ბარიერია 60 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

6. ინგლისური ენის B1 დონის გამოცდის მინიმალური ბარიერია 60 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

7. გერმანული ენის B2 დონის გამოცდის მინიმალური ბარიერია 60 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;

8. ინგლისური და გერმანული ენის გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს 2020 წლის 24 დეკემბერს რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;

9. ინგლისური/გერმანული ენის გამოცდასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადებით მომართვა მოხდეს 2020 წლის 25 დეკემბრის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ ფოსტაზე info@iliauni.edu.ge ;

10. ინგლისური/გერმანული ენის გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. პროგრამაზე მიღებისათვის კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევითი განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

11.ინგლისური/გერმანული ენის გამოცდის შედეგები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს 2020 წლის 30 დეკემბერს, რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;

12. ინგლისური/გერმანული ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში განხილულ იქნას კვლევითი განაცხადები და მათი შეფასება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს 2021 წლის 11 იანვარს რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;

13. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატების მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილ სადოქტორო კვლევით განაცხადს 5-ქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით აფასებს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია. სადოქტორო კვლევითი პროექტის შეფასების მინიმალური ზღვარია 3 ქულა. სადოქტორო კვლევითი განაცხადი დარგობრივ კომისიას ეგზავნება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ.

14. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი პროექტი დარგობრივი კომისიის მიერ შეფასდება 3-ზე ნაკლები ქულით, კანდიდატი კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

15. კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2021 წლის 12 იანვრის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ მისამართზე info@iliauni.edu.ge ;

16. კვლევითი განაცხადის შეფასება აპელაციის შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს 2021 წლის 21 იანვარს, რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;

17. იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ინგლისური/გერმანული ენის გამოცდა და კვლევით განაცხადში შეფასებით გადალახეს მინიმალური ზღვარი, დარგობრივი კომისიის მიერ ზეპირი გამოცდა დისტანციურად, პროგრამა ზუმის გამოყენებით ჩატარდეს 2021 წლის 25-26 იანვარს, ინფორმაცია დროის შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;

18. ზეპირი გამოცდა შეფასდეს ხუთქულიანი სარეიტინგო სკალისა და ზეპირი გამოცდის შეფასების განსაზღვრული წესის მიხედვით. ზეპირი გამოცდის სამზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, კანდიდატი ეთიშება კონკურსს.

19.ზეპირი გამოცდის შედეგები განთავსდეს 2021 წლის 27 იანვარს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;

20. პროგრამაზე მიღებისათვის სადოქტორო კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვროს კვლევის განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.

21. ზეპირი გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2021 წლის 28 და 29 იანვრის 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიის ელექტრონულ მისამართზე info@iliauni.edu.ge ;

22. სააპელაციო განაცხადის საფუძველზე, ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, დისტანციურად, პროგრამა ზუმის საშუალებით, შესაბამისი მიმართულების სააპელაციო კომისიის წინაშე 2021 წლის 3 თებერვალს. ინფორმაცია დროის შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“ 2021 წლის 1 თებერვლს;

23. კვლევითი განაცხადისა და ზეპირი გამოცდის საბოლოო შეფასებების(აპელაციის შედეგების გათვალისწინებით) სარეიტინგო ქულების ჯამის მიხედვით, ჩასარიცხ კანდიდატთა სია საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით გამოქვეყნდეს **2021 წლის 5 თებერვალს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

24. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ გაკეთებული განაცხადი შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნული მონაცემები დამუშავდეს სახელშეკრულებო/სასწავლო ურთიერთობების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ხოლო სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა მათი გადაცემა მოხდეს მესამე პირებისთვის. დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა შესახებ ინფორმაცია

განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე მხოლოდ აპლიკანტისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით და განთავსებულ იქნას დოქტორანტურის საფეხურზე პირთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 32 დღის განმავლობაში. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადების დაცვა და კონტროლი.

25. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებულ სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხი კანდიდატები სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე (მის:ოთახი A303, ი. ჭავჭავაძის გამზირი N32) 2021 წლის 9 და 10 თებერვალს და თან უნდა იქონიონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობა ან პასპორტი (ორიგინალი და მისი ასლი). უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში -პასპორტის(ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) ორი ფოტოსურათი და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD);

გ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომის შემთხვევაში, გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან იმ შემთხვევში თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა- მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, ხოლო უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

დ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერტიფიკატი (TOEFL(P/B მინიმუმ 513 points; I/BT მინიმუმ 65 points); IELTS (მინიმუმ 5.5 points); FCE) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -ორიგინალი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი **ან** შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე; **ან** ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის შემთხვევაში (დიპლომის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ)..

ე) გერმანული ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერტიფიკატი (Test Deutsch als Fremdsprache; DSH(Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang); ZOP (Zentrale Oberstufenprüfung); KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom); GDS (Grosses Deutsches Sprachdiplom) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -ორიგინალი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი **ან** გერმანულენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ასეთის არსებობის

შემთხვევაში (დიპლომის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ).

ვ) გერმანული ენის ძირითად ენად არჩევის შემთხვევაში, აპლიკანტმა ასევე უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B1 დონეზე. ამისათვის უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარებული სერტიფიკატი (TOEFL(P/B მინიმუმ 437points; I/BT მინიმუმ 41 points); IELTS (მინიმუმ 4 points); FCE) ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი -Certus.

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი(მხოლოდ ვაჟებისთვის);

ვ) იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს და ხელშეკრულების აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

26. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, 2021 წლის 15 თებერვლამდე მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად;

27. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს;

28. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების და ბრძანებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა და მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა.

29. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

30. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი